ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 139 (12053)
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ,
20
ᲘᲕᲜᲘᲡᲘ,
1961 Წ.
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 42-Ე ᲬᲚᲘ

ᲤᲐᲡᲘ · 2 ᲙᲞ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1961 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲛᲐ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ „ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲓᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ფ. Რ. ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ „ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ, ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲛᲐ, ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲛᲐ, ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ
ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ **Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ** *ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ,*
ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ 1961 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ „ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲛᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ 1961 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲓᲐᲔᲕᲐᲚᲝᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ, ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ, ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲔᲑᲡ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲜ ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ, ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ, ᲡᲐᲝᲚᲥᲝ, ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ.

ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ
ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ **Ф. Р. ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲘᲡ** *ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ,*
ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ 1961 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ф. Р. ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ „ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

1. ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ,

2. ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ 1961 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

3. ᲓᲐᲔᲕᲐᲚᲝᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ, ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ, ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲔᲑᲡ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲜ ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ, ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ, ᲡᲐᲝᲚᲥᲝ, ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

19 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ლენინის ორდენი, სოციალისტური შრომის გმირის „ნამგალი და უროს“ მესამე ოქროს მედალი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს, რომელსაც ეს მაღალი ჯილდო მიენიჭა თვალსაჩინო დამსახურებისათვის რაკეტული მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის შექმნისა და განვითარების ხელმძღვანელობასა და იმაში, რომ წარმატებით განხორციელდა საბჭოთა ადამიანის, მსოფლიოში პირველი კოსმოსური გაფრენა თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“, რითაც ახალი ერა დაიწყო კოსმოსის ათვისებაში.

გადასცა რა ლენინის ორდენი და „ნამგალი და უროს“ ოქროს მედალი ლ. ი ბრეჟნევმა გულითადად მიულოცა კოსმოსის ათვისების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ამხანაგ **ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს** დამსახურებული ჯილდო და სულით და გულით უსურვა მას ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებები თავდადებულ ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის, მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა ჯილდოები გადასცა სოციალისტური შრომის გმირებს თვალსაჩინო დამსახურებისათვის რაკეტული ტექნიკის განვითარებასა და იმის უზრუნველყოფაში, რომ საბჭოთა ადამიანი წარმატებით გაფრინდა კოსმოსურ სივრცეში თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“. ლენინის ორდენი, „ნამგალი და უროს“ ოქროს მედალი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი გადაეცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ფ. რ. კოზლოვს,** „ნამგალი და უროს“ მეორე ოქროს მედალი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **დ. თ. უსტინოვს,** „ნამგალი და უროს“ მეორე ოქროს მედალი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს **მ. ვ. კელდიშს.**

ლენინის ორდენები, „ნამგალი და უროს“ ოქროს მედლები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები გადაეცათ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **კ. ნ. რუდნევს,** სსრ კავშირის მინისტრს **ვ. დ. კალმიკოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ დ. ს. კოროტჩენკომ ლენინის ორდენი, „ნამგალი და უროს“ ოქროს მედალი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი თვალსაჩინო დამსახურებისათვის რაკეტული ტექნიკის განვითარებასა და იმის უზრუნველყოფაში, რომ საბჭოთა ადამიანი წარმატებით გაფრინდა კოსმოსურ სივრცეში თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“, გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ლ. ი. ბრეჟნევს.**

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ფ. რ. კოზლოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, დ. თ. უსტინოვმა, მ. ვ. კელდიშმა, კ. ნ. რუდნევმა და ვ. დ. კალმიკოვმა მხურვალე მადლობა გამოთქვეს პარტიისა და მთავრობისადმი მაღალი ჯილდოებისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა და დ. ს. კოროტჩენკომ გულთბილად და დიდი გულითადობით მიულოცეს სოციალისტური შრომის გმირებს დამსახურებული ჯილდო და სულით და გულით უსურვეს ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებები მუშაობაში.

ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, მ. გ. პერვუხინი, გ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი და სხვები.

* * *

მაღალი ჯილდოები გადაეცა აგრეთვე მეცნიერთა და კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან დიდი წარმატებებისათვის რაკეტული მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასა და იმაში, რომ წარმატებით განხორციელდა საბჭოთა ადამიანის მსოფლიოში პირველი გაფრენა კოსმოსურ სივრცეში თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“ (საკდესი).

მიხეილ შოლოხოვი თბილისში

19 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ თბილისში ჩამოვიდა დიდი რუსი საბჭოთა მწერალი **მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი.** აეროდრომზე მ. ა. შოლოხოვს შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ვ. კოვანოვი, გ. ნ. ჯიბლაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ი. აბაშიძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭედლიშვილი, საქართველოს სახალხო პოეტი გ. ლეონიძე, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

მიხეილ შოლოხოვი საქართველოში ჩამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივის მოწვევით.

პირველად რომ შემოვდგი ფეხი საუკუნეებში სახელგანთქმული საქართველოს მიწაზე, არ შემიძლია არ გადავცე ჩემს მკითხველებს უაღრესად გულითადი სალამი და უაღრესად კეთილი სურვილები.

თქვენი მ. შოლოხოვი.

19.6.61.
თბილისი.

დედაქალაქის წარმომადგენლებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრისას მიხეილ შოლოხოვმა დიდი სიხარული გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლის გამო.

მიხეილ შოლოხოვი საქართველოში რამდენიმე დღეს დარჩება, მოივლის რესპუბლიკის რაიონებს, ინახულებს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. (საკდესი).

მწერალ მ. ა. შოლოხოვის შეხვედრა თბილისის აეროდრომზე. მ. ა. შოლოხოვის შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ ამხანაგები პ. ვ. კოვანოვი, გ. ნ. ჯიბლაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, ი. ვ. აბაშიძე და გ. ნ. ლეონიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

პარტიული ცხოვრება

სოფლის კომუნისტები

ბახვის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკიდან

ასე დაიწყო ცხოვრება

ჟურნალ „ოგონიოკის“ მე-19 ნომერში გამოქვეყნებულია ნარკვევი სოფელ ბახვის შესახებ. პოპულარულად დაწერილ ამ მასალაში ნათლად არის ასახული მაზარაძის რაიონის ამ პატარა სოფლის რევოლუციამდელი წარსული და რევოლუციისშემდგომი ცხოვრება, დახატულია მისი მომავლის სურათები.

მძიმე იყო ბახველ მშრომელთა ხვედრი რევოლუციამდე. მაგრამ რაც მეტი იყო ცარიზმის დაწოლა, მით უფრო დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა იგი. ამის ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენდა ბახველ მშრომელთა მტკიცე ზოთხოვნა, რომელსაც ბოლშევიკურმა „ვპერიოდმა“ „ბახვის მანიფესტი“ უწოდა.

თავისუფლებისათვის მებრძოლთა მიერ დაღვრილ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია. ორმოცი წლის წინ ბახვში ცხოვრება თავიდან დაიწყო. მშრომელი ადამიანი თვითონ გახდა თავისი ბედის პატრონი.

ჯიქოეთ ძირეული ცვლილებები

ჯიქოეთ სოფლის ცოცხალ მემატიანეებს — კომუნისტ ნადია მამეიშვილს, გრიგოლ ჭელიძეს და სხვებს. ჯიქოხეთ, და გეტყვიან, რა იყო ბახვი წინათ. იქ, სადაც ახლა ჩაის ხაფრდოვანი პლანტაციებია, ეკალბარდით დაფარული ადგილები იყო. სოფლად სამ-ოთხ საცხოვრებელ ნაგებობას თუ ეთქმოდა ოდა-სახლობა. უგზოობა, უსინათლობა, უსწავლელობა იყო სოფლის ხვედრი.

ორმოცი წელი! დროის ამ არც თუ დიდ მონაკვეთში სოფელი მთლიანად გამოიცვალა. აღორძინდა, აშენდა და დამშვენდა ბახვი. მშრომელმა შვებით ამოისუნთქა, კულტურულად და შეძლებულად დაიწყო ცხოვრება.

სოფელს ამშვენებს ასობით ახალი საცხოვრებელი სახლი, საშუალო სკოლა, ჩაის ფაბრიკა, საყოფაცხოვრებო კომბინატი, საავადმყოფო, კლუბი, ბიბლიოთეკა, კოოპერატივი, სახერხი ქარხანა, ბავშვთა ბაღები, ფოსტა-ტელეგრაფი, მეცხოველეობის ფერმები. დამკვიდრდა ელექტრობა, რადიო, ტელეფონი. ბახვის ცენტრალური მოედანი ბევრ პატარა ქალაქსაც შეშურდება.

ბევრი, როდია საქართველოში სოფელი, რომელსაც იმდენი ინტელიგენციია ჰყავდეს, როგორც ბახვს. ბახვმა ჩვენს ქვეყანას მისცა მრავალი სახელოვანი ადამიანი, მათ შორის ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები, მწერლები, მომღერლები. ბახვში ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, სადაც არ იყოს საშუალო სკოლადამთავრებული. საავადმყოფო, კოლმეურნეობა, საშუალო სკოლა სპეციალისტთა და პედაგოგთა ადგილობრივი კადრებით არის დაკომპლექტებული.

ბახველ მშრომელთა დიდი მონაპოვარია სოფლად საკოლმეურნეო ცხოვრების დამკვიდრება, მისი მძლავრი მაჯისცემა. ამ სოფლის პატარა კოლმეურნეობამ დიდი საქმეებით გაახარა საშობლო. არტელმა უკვე 1960 წელს მთლიანად შეასრულა შვიდწლედით დასახული ყველა ამოცანა. შარშან ბახველებმა სამშობლოს მისცეს 625 ტონა ჩაის ფოთოლი, 10 ტონაზე მეტი აბრეშუმის პარკი, დიდძალი ნეცხოველეობის პროდუქტები. ჩაის მოსავლიანობამ ჰექტარზე 4.710 კილოგრამი შეადგინა. თვითეულ ძროხაზე მიღებულ იქნა 3.372 კილოგრამი რძე. არტელის ფულადმა შემოსავალმა 6.200 ათას მანეთს მიაღწია (ფულის ძველი ნაკუშტაბით). შრომადღეზე მარტო ფულად გაიცა 24 მანეთი და 30 კაპიკი.

კოლმეურნეობის კომუნისტები, რომელთა საქმეებთან არის დაკავშირებული მშობლიური სოფლის ყველა ბედნიერება, მოუწოდებენ და აღაფრთოვანებენ მასებს ახალი ზღუდეების ასაღებად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების აკანგარდი

სასოფლო-სამეურნეო არტელის კომუნისტები რიცხობრივად არც თუ ძალიან ბევრნი — სულ ორმოცდათხუთმეტნი არიან, მაგრამ წარმოების რომელ უბანზე არ ჩანს მათი როლი და შრომითი საქმეები! 50 კომუნისტი ფიზიკურად მუშაობს. ყველა ბრიგადასა და ფერმაში შექმნილია პარტიული ჯგუფები.

როცა ამ კოლმეურნეობის კომუნისტთა შემართებაზე ელაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა ვთქვათ ვეტერანი კოლმეურნეს, მერგოლურ ნადია მამეიშვილის შესახებ. ეს 70 წლის ადამიანი ნამდვილი ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს და სხვებს მაგალითს აძლევს. შარშან წან მოსავალელად მიჩენილ 4 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე მოიყვანა ოთხი ტონა ჩაი და გეგმიური 36 კილოგრამის ნაცვლად სამშობლოს ჩააბარა 68 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. წელს ვალდებულება აქვს ნაკისრი მოკრიფოს 4.5 ტონა ჩაი, რისთვისაც ენერგიულად იბრძვის. უხვი მოსავლის მოყვანით თავი ისახელეს მეჩაიე კომუნისტებმა ნ. წიტაიშვილმა, ვ. ვაშალომიძემ, ე. გვიბერიძემ, ნ. ჩავლეიშვილმა, მ. მამეიშვილმა. მესინჯინდე კომუნისტებმა გ. ცეცხლაძემ, ი. ჭელიძემ შარშან ჰექტარზე საშუალოდ 35-45 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს და წელს 60-100 ცენტნერის მიღება იკისრეს.

რაიონში გაითქვა სახელი კომუნისტმა მწველავმა შ. ნოლაძემ, რომელმაც შარშან 9 ძროხიდან თვითეულზე მოწველა 4.628 კილოგრამი რძე და წელს იბრძვის 5 ტონის მიღებისათვის. შრომაში ჭისაბად მაგალითს იძლევიან მექანიზატორი კომუნისტები შ. მაღულარია, ვ. სალუქვაძე, ელექტრიკოსი შ. ნიკოლაიშვილი, რადისტი კ. გერსამია, ფერმის გამგე-ზოოტექნიკოსი ვ. შათირიშვილი და სხვები.

— რომ იცოდეთ, რა ხალხია ესენი! ყოველ ნაბიჯზე შეგიძლიათ ანდოთ რთული საქმე, — თქვა სიამაყით პარტბიუროს მდივანმა რ. მგელაძემ. და ეს სიტყვები დიდი დარწმუნებით იყო ნათქვამი.

ასე უწოდებენ კოლექტიურ ორგანოს

ბახვში საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ბიუროს — კომუნისტთა ჯგუფს. ბიუროში შედიან რიგითი კოლმეურნეები, ბრიგადირი, აგრონომი, კოლმეურნეობის თავჯდომარე, პარტბიუროს მდივანი. ასეთი შემადგენლობა საშუალებას აძლევს პარტორგანიზაციას მიაღწიოს საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა მხარეს და მათზე თავისი გავლენა მოახდინოს.

ბიუროა აწყობს პარტიული კრებების გადაწყვეტილებათა და ზემდგომი პარტიული ორგანოების დირექტივების შესრულებას, ინფორმაციას უკეთებს რაიკომს თავის ორგანიზაციაში საქმეთა მდგომარეობაზე, აწარმოებს მთელ მიმდინარე მუშაობას.

პარტბიუროს სხდომებზე განიხილავენ მრავალფეროვან საკითხებს. უკანასკნელ ხანებში ბიუროზე განხილულ იქნა ჩაის კრეფის მიმდინარეობის, სიმინდის ნათესების დამუშავების, კოლმეურნეთა შორის პოლიტიკური აგიტაციის დაყენების, მეცხოველეობის ფერმის საქმიანობის და სხვა საკითხები.

პარტბიუროს სხდომებზე მოხსენებებით გამოდიან კოლმეურნეობის თავჯდომარე, აგრონომი, ბრიგადირები, ფერმის გამგე. საკითხების მომზადებაში იზიდავენ კომუნისტებს, კომკავშირელებს, უპარტიო აქტივისტებს. ხშირად ბიუროზე, სამეურნეო საკითხების განხილვისას, იწვევენ ბრიგადირებს, მერგოლურებს, რიგით კოლმეურნეებს, ნეცხოველეებს. ამით პარტბიუროო იქცევა ხელმძღვანელობის თავისებურ სკოლად.

პარტბიუროო თავის უბრველეს მოვალეობად თვლის დაყურდნოს ფართო სკოლმეურნეო აქტივს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეებს, რადგან სჯერ, რომ ჩხოლოდ ამ გზით შეიძლება პარტიული მასების ამოქმედება, ფართო ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღება, კოლმეურნეობის ეკონომიკის განუხრელი აღმავლობა.

ვ. ი. ლენინი სიუჟეტის საგანსაურში

მიგვითითებდა, რომ მასებს ყველაფერი შეუძლიაო, როცა მათ ყველაფერი იციან და ყველაფერს აკეთებენ შეგნებულად. ბახველ მშრომელთა შეგნებულობის ამაღლებასა და კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კარგად ორწყობილი პოლიტიკური აგიტაცია. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად ახორციელებს აგიტკოლექტივისადმი ხელმძღვანელობას, ღრმად სწვდება მისი მუშაობის შინაარსს, მუდმივად ზრუნავს აგიტატორთა კადრების შერჩევა-აღზრდისათვის, ფართოდ იყენებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩრავალმხრივ ფორმებსა და მეთოდებს.

აგიტკოლექტივში 21 კაცია. ესენი არიან კოლმეურნეობის გამგეობის წევრები, სოფლის ინტელიგენცია, ბრიგადირები, რიგითი კოლმეურნეები — ენერგიული, მომზადებული ადამიანები. სიტყვიერ აგიტაციას ეწევიან კოლმეურნეებთან წარმოების მოწინავეები: ბრიგადირი ჭ. ანდღულაძე, კოლმეურნეები ს. ცეცხლაძე, გ. მანჯგალაძე და სხვები.

სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში აგიტატორები გამოდიან როგორც პარტიული ორგანიზაციის მებრძოლი თანამშემწეები. ეს შეჯიბრება კი ჩაღდება დევიზით: „ნოვატორის დღევანდელი ზღუდე ხვალ მთელი კოლექტივის ზღუდე უნდა გახდეს“.

ბახველი აგიტატორები ყოველთვის შეიარაღებული არიან მათთვის მიჩენილი სააგიტაციო უბნების კონკრეტული მონაცემებით. ისინი კოლმეურნეებს აცნობენ ეზოზიერი ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის გამოცდილებას, მოუთხრობენ მოწინავეებზე, ღღის სინათლეზე გამოაჰყავთ ჩამორჩენილნი. ამით ისინი აღწევენ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობას.

კოლმეურნეობის გამგეობა ხშირად იწვევს აგიტატორებს გამგეობის სხდომებზე, გაფართოებულ საწარმოო თათბირებზე და სხვ. ეს საშუალებას აძლევს მათ იყონ კოლმეურნეობის ყოველდღიური საქმიანობის კურსში.

ნაყოფიერად მუშაობს სოფლის ელექტორიუმი. ეწყობა თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, მოხსენებები, საუბრები.

კომუნისტები თვალსაჩინო აგიტაციის სხვადასხვა ფორმებს იყენებენ. კოლმეურნეობის ტერიტორიაზე, მინდვრად, პლანტაციებში, ფერმებში, ბაღებში, ვენახებში შეხვდებით ლოზუნგებსა და პლაკატებს, საპატიო დაფებსა და საგაზეთო ვიტრინებს, სავლე გაზეთებსა და დიაგრამებს, ეგზობრმის კუთხეებსა და ფოტოგამოფენებს...

მუდმივმოქმედ აგიტპუნქტში, რომელიც საააგიტაციო მუშაობის ცენტრია, მოწყობილია რამდენიმე სპეციალური ბუდეები, მოწინავეთა პორტრეტები.

თვალსაჩინო აგიტაციის ყველა საშუალებით პარტიული ორგანიზაცია ავლენს ბრძოლას ფეოდალურ რეზრეგებს, პროპაგანდას უწევს შრომის მოწინავე მეთოდებს.

თუ — არა სოფლის კომუნისტებმა, პირველად ვინ უნდა გაუკაფოს გზა ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, ებრძოლოს ძველს, დრომოჭმულს, რომელიც ხელს უშლის ახლის წინსვლას? სიახლის ნერგავენ

— კომუნისტთა წინადადებით, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავჯდომარე გ. ანთაძე, — რაიონში ერთ-ერთმა პირველმა შემოვიღეთ შრომის გარანტირებული ფულადი ანაზღაურება, დავნერგეთ ჩაის პლანტაციების მორწყვა გვალვიან ამინდში. ამ ღონისძიებებმა საეცხოო შედეგი გამოიღო.

კოლმეურნეებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ მოწინავენი, წარჩინების ნოვატორები, მათ შორის მეზობელ კოლმეურნეობათა სახელოვანი ადამიანებიც. დანერგილია კოლმეურნეთა ცალკეული ჯგუფების გაგზავნა როგორც რაიონის, ისე მოძმე რესპუბლიკების მოწინავე საზოგადოებრივ ნეურნეობებში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე 15 ბახველმა დაათვალიერა. ისინი გამოფენიდან დაბრუნებისთანავე შეხვდნენ თანასოფლელ კოლმეურნეებს, რომლებსაც გაუზიარეს გამოფენაზე მიღებული მდიდარი შთაბეჭდილებანი.

კოლმეურნეები აგიტატორთა მეშვეობით გაეცნენ ცნობილი მერიელი მეჩაიის ნ. გოგბაძის გამოცდილებას. მალე აგიტპუნქტში გაჩნდა სპეციალური სტენდი: „ნ. გოგბაძის მიმდევრები“, რომელზეც ნახავთ ლ. ბაჯელიძის, ო. ცეცხლაძის, ნ. ჩიტაიშვილის, ო. ნიკოლაშვილის, ქ. ცეცხლაძის და სხვათა პორტრეტებს.

აქ ფართოდ იყენებენ კინოს, აწყობენ ადგილობრივ რადიოგადაცემებს. მარტო შარშან უჩვენეს 50 ფილმი, რომელთა შორის ცოტა როდი იყო სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი. მოწინავეთა გამოცდილებას პროპაგანდას უწევენ კედლის და საველე გაზეთები. ამ გამოცდილების დანერგვაზე პერიოდულად მსჯელობენ კოლმეურნეთა და კომუნისტთა კრებებზე, პარტბიუროს სხდომებზე.

მეზობლებში ხშირად გაიგონებთ ასეთ სიტყვებს: — მათ წარმატებას ადამიანები წყვეტენ, მათი ბედნიერებაა, რომ ასეთი კადრები ჰყავთ. ეს სიტყვები ბახველთა მისამართით არის ნათქვამი. კადრები და წარმატება

მაგრამ ეს კადრები ბახვში თავისით არ მოსულან. მათ არჩევდნენ და ზრდიდნენ კოლმეურნეობაში ბრავალი წლის მანძილზე. ზრდიდნენ დაჟინებით, მოთმინებით, პრაქტიკული საქმეებისათვის ბრძოლაში.

ერთი მაგალითი. მე-6 ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ანდღულაძე ერთი წლის წინათ მწონავად ეშაობდა. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც მცოდნე, ენერგიულმა და პატიოსანმა მუშაკმა. ამის შემდეგ ეოულოდნელი როდი იყო, როცა თვით ბრიგადის წევრებმა მოითხოვეს იგი თავიანთ ხელმძღვანელად. ანდღულაძემ გაამართლა ხალხის ნდობა, და ახლა მისი ბრიგადა კოლმეურნეობაში მოწინავეა.

ახალი ზღუდე! ახალი ზღუდეებისაკენ!

ეს ტერმინი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენში. ახალი ზღუდე ჩვენი ახალი ამოცანაა, ჩვენი ხვალინდელი დღეა.

ბახველებსაც აქვთ თავიანთი ხვალინდელი დღე. შვიდწლედის მესამე წელს მათ სამშობლოს უნდა მისცენ 660 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 35 ცენტნერი სიმინდი, თვითეულ ძროხაზე — 3.400 კილოგრამი რძე, გაზარდონ ყურძნის, ხილის მოსავლიანობა.

შეიარეთ ახლა ბრიგადებში, ფერმებში, მშენებლობებზე და ყველგან ნახავთ კოლმეურნეთა შემოქმედების ნაყოფს. ჩქეფს თავდადებული შრომა, იზრდება სახალხო ინიციატივა. ეშრომელები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად.

ახლა ბახვის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია უფრო მეტი ჩაის ფოთოლი, მიღებულია უფრო მეტი რძე, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ჩაის პლანტაციებს მოსდგომია.

მოდის ბახვიანი „ეშეანი ოქრო“!

— ჩვენ კარგად გვესმის, რომ შვიდწლედის შესრულება პირდაპირ დამოკიდებულია ჩვენზე, კოლმეურნეებზე, ჩვენს ენერგიაზე, ინიციატივასა და შეგნებულობაზე, — ამბობს ბრიგადირი ფ. ბაღიშვილი. ამ აზრს იზიარებს ბახვში ყველა მშრომელი, ამ აზრს ისინი ყოველდღიური ცოცხალი, პრაქტიკული საქმეებით განამტკიცებენ.

გ. ზუკაკიშვილი,
ბ. ჩხაიძე.

* * *

სურათზე: სოფელ ბახვის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი რ. მგელაძე (მარჯვნიდან პირველი) ესაუბრება კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს ბ. ანდღულაძეს და სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანს ნ. მელუას საკოლმეურნეო წარმოებაში სოფლის ახალგაზრდობის შრომითი მონაწილეობის შესახებ.



თბილისი. ქარხანა „ელექტროძრავი“. სურათზე: ხარატი ბ. ნადარეიშვილი, რომელიც სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას და ყოველდღიურად ორ-ორ ნორმას ასრულებს.

გამარჯვებათა ქრონიკები

საპატიო დროშა — ბიბლიოთეკა

ახალციხე. (საკ. კორ.). ოკტომბერკავშირი (გამგეობის თავმჯდომარე გ. მუმლაძე) ენერგიულად იბრძვის საქონელბრუნვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკომისიო ვაჭრობის გეგმების შესრულებისათვის. ახალციხელმა კოოპერატორებმა განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში და გაიმარჯვეს კოოპერატორთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მათ მიეკუთვნათ პირველი ფულადი პრემია, „ცენტროსოიუზის“ და ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა.

მეფრინველეები სიუჟეტისათვის იბრძვიან

ონი. (საკ. კორ.). ონის მახლობლად რიონის თვალწარმტაც მარცხენა სანაპიროზე ყურადღებას იპყრობს თეთრ ნაგებობათა ანსამბლი. ეს არის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმა.

აქაურმა მეფრინველეებმა იკისრეს წელს გაზარდონ 7.000 ფრთა ქათამი და სახელმწიფოს ჩააბარონ 70 ათასი ცალი კვერცხი. ონელმა მეფრინველეებმა სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 25 ათას ცალ კვერცხზე მეტი. ამ დღეებში ინკუბატორიდან აქ გასაზრდელად მოიყვანეს 2.500 წიწილა.

კმაყოფილი ხართ სასადილოს მუშაობით?

მუშა მოვიდა სასადილოში...

მეფოლადე ვ. გიგბერიაძ ერთხელ კიდევ გულდასმით შეამოწმა ღუმელი და დაიმედებული იმაში, რომ ახლა ხელისშემწყობებიც მოუვლიან მასო, სასადილოსაკენ გაეშურა.

— პირველი გა ჭვთ?

— გათავდა.

— მომეცით მეორე...

— პირდაპირ აღარ შემოისვლება ჩვენს სასადილოში, — შიმართა მან იქვე მაგიდასთან მჯდომ მეფოლადე ა. ტარუაშვილს.

— დღეს კიდევ არა უშავს, — გაეპასუხა ეს უკანასკნელი, — გუშინ უნდა გენახა. ამ მამაცხონებულებს იმდენი მარილი ჩაუყრიათ კერძებში, რომ ბიჭებმა მიატოვეს სადილი და მშიერები გავიდნენ სასადილოდან.

უსუფთაობა, უგემური და ერთფეროვანი კერძები, ჭურჭლების სინაკლულე — აი რა შეინიშნება მარტენის საამქროს სასადილოში თვალის ერთი გადავლებით. ჭურჭლების სარეცხ ოთახში შევედით. იქვე აწყვია თითქოსდა დარეცხილი თეფშები. აქა-იქ კერძის ლაქები აცხია, შეუმშრალებელი. მრეცხავი ფ. რაფალიანი უსუფთაო წყალში თეფშს ერთხელ ამოველებით კმაყოფილდება.

— რა ვქნა, — გვეუბნება იგი, — შესამშრალებელ ტილოებს არ იმეტებენ. სარეცხი მანქანა ერთი თვეა გაფუჭებული დგას. ერთი ქალი ვერ აუვიდი ამდენი ჭურჭლის დარეცხვას. გამოიტანეთ, რომ საწყობში უხვად მოიპოვება შესამშრალებელი ტილოები, სუფთა ხალათები. სარეცხი მანქანის გარემონტებაზე საკითხი არავის დაუსვამს. ხშირად იცვლებიან მზარეულები. არ შეიმჩნევა საზოგადებრივი კონტროლიორების საქმიანობა.

და განა მარტო მარტენის საამქროს სასადილოშია ასეთი მდგომარეობა?

მილსაღლინავი საამქროს სასადილოში (გამგე შ. ჭელიძე) ერთ-ერთ მაგიდას უსხედან ზეინკალი გ. დალაქიშვილი და ამწეს მემანქანე მ. ხასიევი. მოვისმინეთ მათი დიალოგი.

— მზარეული თუ არ გიცნობს, ისე ხარისხიან კერძს არ დაგისხამს.

— ასეთი უგემური კერძი რომ არ ჭამო, ისა სჯობს.

— განა არ შეიძლება მენიუს შეცვლა. ყოველდღე ერთი და იგივე კერძებს რომ ამზადებენ?

— აი სოსისი გვაქვს, აბა მიმოიხედე მდგოვს თუ იპოვნი.

— საინტერესოა რატომ მიანებეს თავი ჩაისა და ყავის დამზადებას.

— მწვანილი?

— იქვე რიგში ხმამაღალი ლაპარაკი მოგვესმა.

— როდის მოელება ბოლო ასეთ უმსგავსოებას. რა ჭამის ხასიათი გექნება, 25-30 წუთს რომ რიგში იდგომენი, — ცხარობს ავტომატიკის საამქროს ბრიგადირი ნ. ნაზაროვი, და მართლაც, რიგი ძალზე ნელა მიიწევს წინ. ერთი მზარეული ვერ უზრუნველყოფს კერძების გაცემას. უფროსი მზარეული ვ. ტყეშელაშვილი რატომღაც არ ერევა საქმეში. მომხმარებლის ყველა რეპლიკას მკვახე რეპლიკითვე უპასუხებს.

გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება. სასადილო დარბაზში ვერ ნახავთ გამგეს, მორიგეს, საზოგადოებრივ კონტროლიორს, პროფკავშირულ ზედამხედველს.

— ადრე ჩვენთან უკეთესი მდგომარეობა იყო, — აღნიშნავს იგივე ნ. ნაზაროვი, მაგრამ რაც მზარეული შეგვიცვალეს, საქმე გაუარესდა. აქვე მეტალურგებმა დაუმატეს, რომ თუ პირველი ცვლის მუშებისათვის ასე თუ ისე კიდევ მზადდება რაღაც კერძები, მეორე ცვლის მუშები ამასაც მოკლებული არიან.

სამზარეულოში დიდი უსუფთაობაა. ბუზები იკლვებენ იქაურობას: ანტისანიტარია გამეფებულია ბუფეტშიც. ბუზებს აქაც მოუძებნიათ თავშესაფარი. მებუფეტე დ. ყალიჩავა ჭუჭყიანი ხალათი აცვია. როგორც ჩანს, დრო ვერ უშოვნია წვერის გასაპარსად.

...ცაში აზიდულან საბრძმედე ღუმელების მილები. აქ ცეცხლის პირისპირ დგევბივით დგანან შაატუხა ბიჭები და მეტი თუჯისათვის იღწვიან. ცხადია, ამ ადამიანებს კარგი კვება სჭირდება, მაგრამ ვერც საბრძმედე სამჭიროს სასადილოს (გამგე ტ. ლაგვილავა) მესვეურები დაიკვეხნიან კარგ რაიმეს. 30 მაისს მუშები ვერ უზრუნველყოფენ ძრძით, ძეხვით, ბოსტნეულით, მაღალხარისხოვანი კერძებით.

მზარეული ვ. ქუშბატოვი ნორმების შესაბამისად არ ამზადებს კერძებს. მაგალითად, მის მიერ გაცემული კატლეტი ვერმიშელის გარნირით 260 გრამის ნაცვლად 210 გრამს იწონიდა.

მუშებმა ჯ. ტაბატაძემ და ნ. ქავთარაძემ თავიანთი აზრი აღნიშნული სასადილოს ირგვლივ ასე გამოხატეს:

— ყოველდღე ერთი და იგივე საჭმელი — ესენია უგემური სუფი, ბორში, კატლეტი და გულიაში.

ასეთივე პრეტენზიები გამოთქვეს მუშებმა საგლინავი, ფურცელსაგლინავი და სხვა საამქროების სასადილოების მიმართაც.

მეტალურგები სამართლიანად შენიშნავენ: მიუხედავად არსებული საშუალებებისა, სასადილოები ცუდად მარაგდებიან რძის პროდუქტებით, სხვადასხვა ასორტიმენტის საკონდიტრო ნაწარმით, ბოსტნეულით.

არ შეიძლება აღინიშნოს, რომ რუსთავის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის ხელმძღვანელები (დირექტორი ვ. კაკაშილი) არაფერს აკეთებდნენ საქართხნო სასადილოების მუშაობის გაუმჯობესებისთვის, მაგრამ როგორც ჩანს ამ მხრივ გატარებული ღონისძიებები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საქალაქო საბჭოს სავაჭრო განყოფილება (უფროსი ამხ. ნ. კობიძე) უფრო ოპერატიულად, მოქნილად და საქმიანად ხელმძღვანელობდეს მუშათა სასადილოების მუშაობას.

ცალკე უნდა ითქვას საქართველოს სსრ ეკონომიკის სამინისტროს მისამართით. ეს უკანასკნელი სასადილოების მუშაობის შესამოწმებლად აგზავნის ბრიგადებს, მაგრამ სამწუხაროდ, მათი ჩამოსვლა არავითარ კვალს არ ტოვებს. რატომ?

გაზეთ „კომუნისტის“ რეიდის მონაწილენი: მ. სპანდარაშვილი — მარტენის საამქროს მეფოლადე, ბ. კვირიკაშვილი — მილსაგლინავი საამქროს დამხარისხებელი; მ. ლამაზოვი — დგან „400“-ის მუშა, ს. ზიკლაური — სამშენებლო მექანიზაციის მუშა, ზ. მერკვილაძე — „კომუნისტის“ საკ. კორ. და სხვ. რეიდში მონაწილეობას იღებდა სულ 25 კაცი.

არ მუშაობს და ჭამს!...

როგორც ჩანს, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მანსუროვმა ვერ გაგვიგო და კითხვაზე — არიან თუ არა ყიზილიქისაში ზარმაცები, უარყოფითი პასუხი მოგვცა.

ამჯერად იფიქრა, ვერც ჩვენ გავიგებდით და კოლმეურნეობის კანტორიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით გაგვიჩერა. იქვე თვალი ჩაუკრა ბრიგადირ მ. ალიევს:

— ახლავე წადი და უსაქმურები გაყარე კანტორიდან.

მაგრამ ეს არ გამოვიდა. ყველამ დაკონახეთ, ახალგაზრდები თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდნენ კანტორიდან სხვადასხვა მიმართულებით.

ყიზილიქისის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა დმანისის რაიონში ჩამორჩენილ კოლმეურნეობად არ ითვლება. შეიძლება ითქვას, მან ბევრი კოლმეურნეობა მოიტოვა უკან ხორციისა და რძის წარმოების მხრივ, მაგრამ წარმატებები გაცილებით მეტი ექნებოდათ, ყველა კოლმეურნე აქტიურ მონაწილეობას რომ იღებდეს საკოლმეურნეო საქმიანობაში, კოლმეურნეობაში პარაზიტები რომ არ იყონ.

ქოხა ქოილა-ოღლი ყურბანოვი. არის ასეთი კაცი სოფელში. ჰყავს შვილი ზიადხანი, ცოლი შარბანი და რძალი აინა.

აი რას ამბობენ მათზე სოფელში:

— როდემდის უნდათ მამა-შვილს უსაქმოდად ატარონ დრო, როდემდის უნდა ჭამონ ცოლების შრომით მონაპოვარი პური?

და მართლაც, ქოხა და ზიადხანი ნამდვილ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. რამდენიმე წელია ხელი არ გაუნძრევიათ, რაიმე სასარგებლო შრომა არ უწარმოებიათ.

— რატომ უნდა იყონ ცოლების კმაყოფაზე? — ეს კითხვა აღელვებს სოფლის შრომისმოყვარე ადამიანებს ფ. მამედოვს, ჰ. სულეიმანოვს, ვ. მამედოვს, გ. აბდულაევას, ქ. აბდურახანოვს და სხვებს, რომლებიც გვერდით შარბანი და აინა დილიდან საღამომდე საკოლმეურნეო მინდვრებში არიან და სასახლო შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან. რამდენჯერ სთხოვეს მათ თავიანთ ქმრებს, ხელიხელჩაკიდებული ვიშრომოთ და უკეთესად ვიცხოვრებთო, მაგრამ მეუღლეთა რჩევას როდი ისმენენ. ქოხასა და ზიადხანს ქეჩებსა და თაშესაყარ ადგილებში უსაქმურობა და ლაზღანდარობა მთელ ქეყანას ურჩევნიათ.

და განა მარტო ყურბანოვები?

მათი მსგავსნი აქ კიდევ არიან. აი ისინიც: ნ. ბასდი, მ. სალმანაზი, ი. მახიზარი და სხვები. მათ გასულ წელს კოლმეურნეობაში ცამეტ-ცამეტი შრომადღე გამოიმუშავეს, წელს კი შვიდ-შვიდი.

ჯერ რატომღაც არ ამბობდნენ, მაგრამ შემდეგ ყველამ გამოთქვა გულისწყრომა ფაშა ფაშაევის მიმართ.

ვინ არის ფაშა ფაშაევი? კოლმეურნეობის წევრი, კომენისტი. სამი წელია კოლმეურნეობაში ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. თვითნებურად მიატოვა კოლმეურნეობა, პარტიული ორგანიზაცია და კაცმა არ იცის, რით ირთობს თავს.

ამ კოლმეურნეობაში ერთ-ერთი ამაღელვებელი მოვლენა ის არის, რომ მამაკაცები შრომას თავს არიდებენ. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ძირითად სამუშაო ძალას აქ ქალები წარმოადგენენ. კაცები კი საპარიკმახიერობაში, სიჩაიეებსა თუ სხვა თავშესაყარ ადგილებში ლაზღანდარობასა და უდარდელობაში, კრიალოსნების თამაშში ატარებენ დროს. ვიღაცამ ისიც კი გვითხრა, აქაურ მამაკაცებს სათაკილოდ მიაჩნიათ მუშაობა. ამაში მართლაც დავრწმუნდით, როცა რამდენიმე ნაკვეთი დავათვალიერეთ და სამუშაოზე ძირითადად ქალები დავინახეთ. როგორ უყურებს ამ მდგომარეობას საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი გ. ალიევი), ან თუნდაც პარტიის დმანისის რაიკომი?

თამამად შეიძლება თქვას, რომ არც ერთს და არც მეორეს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ ამ კოლმეურნეობის წევრთა დასარაზმავად, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ როცა ბევრი კოლმეურნე თავს არიდებს შრომას და სხვის კმაყოფაზე ცხოვრობს, პარტიის რაიკომს და პირველადს პარტიულ ორგანიზაციას არ მოუწყვიათ აღლექცია ან თეორიული კონფერენცია თემებზე — „ვინც არ მუშაობს — ის არ ჭამს“, „კომუნისტური შრომის დამკვრელები“ და სხვ.

კოლმეურნეობაში წლების მანძილზე არ ეწყობა მოწინავეთა შეკრება, მათი გამოცდილების განზოგადება, წახალისება.

კედლის გაზეთში, რომელიც აქ შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოდის, არ აკრიტიკებენ პარაზიტებს, არ ათავსებენ კარიკატურებს. კოლმეურნეობა დიდია. შეიძლებოდა აქ სატირული კედლის გაზეთის გამოშვებაც, მაგრამ ამაზე ჯერ არავის უფიქრია. ზედმეტია ლაპარაკი აგიტსაუბრების ჩატარებაზე.

რაიკომის ინსტრუქტორი გ. ყურბანოვი, მართალია, ზოგჯერ მოდის კოლმეურნეობაში, მაგრამ იმის გამო, რომ პარტიული მუშაობის გამოცდილება არა აქვს, სათანადო მითითებებს ვერ იძლევა, თვითონაც ნაკლებად ერკვევა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ელემენტარულ საკითხებში. რაიკომის სხვა მუშაკები კი კოლმეურნეობის ძვირფასტუმრები არიან.

უსაქმურებსა და პარაზიტებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ საკოლმეურნეო-სასარგებლო შრომაში მონაწილეობას იღებდეს სოფლის ყველა მცხოვრები.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გაბაწრული წიგნები

წინა კვირას ქვემო ხვედურეთში ვიყ

გმირული გრძოლის ჰეროიკული ისტორია

გამოვიდა „საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ისტორიის“ მეორე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. ტომში მოთავსებული მასალები მოიცავენ ომის პირველ პერიოდს, რომლის დაწყების 20 წლისთავი აღინიშნება ამ დღეებში.

საკავშირო კორესპონდენტმა სთხოვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დიდი სამამულო ომის ისტორიის განყოფილების გამგეს, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს გენერალ-მაიორ ე. ა. ბოლტინს ეამბნა ძირითად საკითხებზე, რომლებიც გაშუქებულია ამ ტომში.

მეორე ტომი, თქვა ე. ა. ბოლტინმა, დასათარებულია: „სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის მოგერიება საბჭოთა ხალხის მიერ. პირობების შექმნა ომის ძირეული გარდატეხისათვის“ (1941 წლის ივნისი. 1942 წლის ნოემბერი). ტომის დაწერაში მონაწილეობა მიიღო ბევრმა ისტორიკოსმა, ეკონომისტმა. სამხედრო სპეციალისტმა.

ტომის მომზადების დროს გაწეულია დიდი მუშაობა მრავალმხრივი საარქივო მასალის, საბჭოთა და უცხოური ლიტერატურის შერჩევის, მეცნიერული დამუშავებისა და განზოგადებისათვის. შესწავლილი და გამოყენებულია ომის პერიოდის მრავალი ათასი პარტიული და სახელმწიფო დოკუმენტი: საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებები, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის უმნიშვნელოვანესი დადგენილებები და დირექტივები, სახალხო კომისართა საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის დოკუმენტები, დიდძალი გერმანული ნადავლი დოკუმენტი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პარტიული და სახელმწიფო არქივების მასალები.

მეორე ტომის პირველ ნაწილში გაანალიზებულია ომის დაწყებითი პერიოდის ისტორიული პირობების სირთულე და თავისებურება.

ტომის ამ ნაწილის მასალები მკაფიოდ ასახავენ შეუპოვრობას, თავდადებასა და გმირობას, რაც გამოიჩინეს თავდამცველმა საბჭოთა ჯარებმა, და თავდაცვაში მიღწეულ ოპერატიულ-სტრატეგიულ შედეგებს. ამასთან დაკავშირებით დიდი ადგილი დაეთმო სმოლენსკის ბრძოლას (1941 წლის იელისი-აგვისტო) როლსა და მნიშვნელობას, როცა მოგერიებულ იქნა მტრის პირველი ცდა — შეუნერებელი გაჭრილიყო მოსკოვისაკენ, აგრეთვე კიევისათვის ბრძოლას 1941 წლის იელისსექტემბერში.

დიდძალი ფაქტი და ახალი დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა ჯარების თავდაცვითმა მოქმედებამ კიევის მისადგომებთან და ქალაქის უშუალო დაცვამ დიდი როლი შეასრულეს 1941 წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიის მსვლელობაში, ეს იყო გერმანელ ფაშისტთა „ელვისებური ომის“ გეგმის ჩაფუშვის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

ტომის შინაარსი გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლის იდეით. ტომში მრავალმხრივ ნაჩვენებია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის შეიარაღებული ბრძოლისა და ზურგში მუშაობის ხელმძღვანელობისათვის. ღრმად არის გაშუქებული კომუნისტური პარტიის როლი მტრის ზურგში პარტიული იატაკქვეშეთისა და პარტიზანული მოძრაობის ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში.

„ომის პირველ წელიწადში, — ნათქვამია ტომში, — პარტიამ გაგზავნა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სულ ცოტა 1 მილიონი კომუნისტი და დაახლოებით 2 მილიონი კომკავშირელი. უკვე 1941 წლის დამლევისათვის არმიის რიგებში იბრძოდა 1300 ათასი კომუნისტი, ანუ პარტიის მთელი შემადგენლობის თითქმის ნახევარი. კომუნისტები და კომკავშირელები არმიის ფოლადის ბირთვს, მამაცობისა და გმირობის ნიმუშს წარმოადგენდნენ“.

წიგნი ასახავს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოღვაწეობის ფართო სურათს საოჯახო ყაიდაზე სახალხო მეურნეობის გარდაქმნისათვის.

საბჭოთა ხალხის ტიტანურ ორნისძიებათა შედეგად 1941 წლის სექტემბერში მტრის შეტევა შეჩერებულ იქნა თითქმის ყველა მიმართულებით, ხოლო სსრ კავშირის წინააღმდეგ „ელვისებური ომის“ გეგმაში პირველი ბზარები გაჩნდა.

მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების დამარცხება გაშუქებულია ისტორიული სიმართლის შესაბამისად, როგორც შემობრუნების პუნქტი ომის მსვლელობაში, რომელმაც გავლენა მოახდინა მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაზე.

გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ფართოდ არის გაშუქებული თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, მთავარი ბანაკისა და ფრონტების სარდლობის მოღვაწეობა სტალინგრადის დაცვის მოსაწყობად და კონტრშეტევაზე გადასვლისათვის პირობების შესაქმნელად.

ტომის მასალები განმარტავენ და გვიჩვენებენ, თუ რატომ და როგორ შეძლო საბჭოთა კავშირმა, არა მარტო გამკლავებოდა ფაშისტი აგრესორის მძლავრი ძალების დარტყმებს, არამედ შემოებრუნებინა საომარ მოვლენათა მსვლელობა თავის სასარგებლოდ; როგორ იცვლებოდა ძალთა თანაფარდობა და იზრდებოდა წითელი არმიის ხელოვნება ომის პირველი პერიოდის კამპანიებში; როგორ იქმნებოდა სამხედრო, ეკონომიური და მორალურ-პოლიტიკური წანამძღვრები ძირეული გარდატეხისათვის ომის მსვლელობაში.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტომში ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლას მტრის ზურგში, ფართოდ არის წარმოდგენილი დროებით დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე საბჭოთა ზურგის მუშაობა ომის პირველ პერიოდში.

ნაშრომში მოყვანილი აბსოლუტური ციფრები ტანკების, თვითმფრინავების, სხვადასხვა სახეობის შეიარაღების წარმოების ზრდის წარმოდგენას იძლევიან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზურგს თანამედროვე ომში, ომ უმაგალითო შრომითს გმირობაზე, რომელიც გამოიჩინეს საბჭოთა ადამიანებმა დიდ განსაცდელთა ჟამს. პირველად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები დამაჯერებლად ცხადყოფენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას და აბთილებენ ზურუუზიულ-ისტორიკოსთა მონაჭორს ლენდ-ლიზით განხორციელებულ მიწოდებათა დიდ როლზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო-ტექნიკურ მომარაგებაში.

ფართოდ არის გაშუქებული მეორე ტომში საერთაშორისო ასპარეზზე გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ამ პერიოდში.

ტომი მთავრდება შემდეგი დასკვნით: „დიდი სამამულო ომის პირველმა პერიოდმა ნოყელი სიცხადით დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომ მხოლოდ ის სახელმწიფოები და ხალხები უძლებენ მძლავრ მოწინააღმდეგესთან ომის გამოკიდებას, რომლებიც აღმოჩნდებიან მოწინააღმდეგეზე უფრო ძლიერი მეურნეობის განვითარებითა და ორგანიზაციით, ჯარების საბრძოლო სულისკვეთებით, ხალხის სიმტკიცითა და ერთობით. სწორედ ასეთი სახელმწიფოა საბჭოთა კავშირი“.

წიგნი იძლევა ძვირფას მასალას იმისათვის, რომ მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან სწორად და ღრმად განმარტოს მშრომელთა მასებს ფაშისტთა აგრესორების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ბრძოლის პროოიკული ისტორია, მიზეზები და პირობები, რომლებმაც უზრუნველყვეს მთელი ხალხის წინააღმდეგობა მტრისადმი.

პერუს პარლამენტარეგის გამგზავრება

სამ დღეს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა პერუს პარლამენტის დელეგაცია. იგი გაეცნო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას. 19 ივნისს პერუს პარლამენტარები, რომლებიც განაგრძობენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობას, ლენინგრადს გაფრინდნენ.

გაცილების დროს აეროდრომი მორთული იყო პერუს, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ და დელეგაციის მეთაურმა ხოსე ვილბერტ სალას როდრიგესმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ბატონმა ხოსე ვილბერტ სალას როდრიგესმა მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარეობისათვის, გულითადი მიღებისათვის. საქართველოში ჩვენი ყოფნა, თქვა მან უალრესად საინტერესო იყო. ჩვენ ვნახეთ, რომ წარსულში ჩამორჩენილმა ქვეყანამ მიაღწია დიდ პროგრესს ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირში ჩვენი ჩამოსვლის მიზანი ის იყო, რომ ყოველმხრივ გავცნობოდით ხალხის ცხოვრებას, რომელიც აშენებს ახალ საზოგადოებას, ხელი შეგვეწყო პერუსა და სსრ კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. მოხარული ვიქნებით, თუ ჩვენი მისია წარმატებითი იქნება.

(საქდესი).

სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი განაგრძობენ რეპრესიებს მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყნის გაერთიანებისათვის იბრძვის.

ტან ანში, 30 მილზე საიგონის აღმოსავლეთით, დამსჯელებმა ამას წინათ 5 კაცი მოკლეს. როგორც სამხრეთ ვიეტნამის საგენტო ვიეტნამ პრესი იუწყება, კიდევ 6 კაცი მოკლეს ტაი ნინში (საიგონის ჩრდილოეთით). ბევრი დაჭრეს და წამებით დახოცეს ფუ ენში.

სურათზე: დამსჯელები მათ მიერ წამებით მოკლულთან ფუ ენში.

ფოტო ვიეტნამის საინფორმაციო საგენტოსი.

ჩინეთ-ინდონეზიის ეროვნული კომუნიკე

პეკინი. (საქდესი). აქ გამოქვეყნდა ჩინეთ-ინდონეზიის ერთობლივი კომუნიკე ინდონეზიის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის სუკარნოს ჩინეთში ყოფნის შესახებ. ეს იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მისი სახელმწიფო ვიზიტი 13-დან 15 ივნისამდე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ლიუ შაო-ცის მოწვევით. პეკინში სუკარნოს ვიზიტის დროს მოხდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის მეგობრობის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელებისა და ნოტების გაცვლა, რომლებიც ამტკიცებენ შეთანხმებას ორი ქვეყნის კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

პრეზიდენტ სუკარნოსა და ჩინეთის ხელმძღვანელებს შორის, აღნიშნულია კომუნიკეში, გაიმართა მოლაპარაკება, რომლის დროსაც ორივე მხარემ აზრი გაუზიარა ერთმანეთს მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ ორი ქვეყნისათვის.

ინდონეზიის მთავრობამ, ნათქვამია კომუნიკეში, კვლავ უაღრესად ნათლად განაცხადა, რომ სავსებით უპერს მხარს ჩინელ ხალხს მის ბრძოლაში იმისათვის, რომ დაიბრუნოს თავისი ტერიტორია — ტაივანი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ აგრეთვე სავსებით ნათლად განაცხადა, რომ მხარს უჭერს ინდონეზიელი ხალხის ბრძოლას იმისათვის, რომ დასავლეთ ირიანი გაათავისუფლოს ეცხოელთა ბატონობისაგან.

ინდონეზიის მთავრობამ კვლავ დაუჭირა მხარი იმას, რომ გაერთიანებული ეროების ორგანიზაციაში აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი ადგილი.

ორივე მხარემ, აღნიშნულია შემდეგ კომუნიკეში, განაცხადა, რომ კვლავაც დაუეჭრომლად განახორციელებენ ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ორივე მხარეს ერთსულოვნად მიაჩნია, რომ ლაოსის საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას სწორად, ლაოსელი ხალხის. ინტერესების შესაბამისად. ისინი გამოდიან იმის წინააღმდეგ, რომ მოხდეს გარედან რაიმე ჩარევა ლაოსის საშინაო საქმეებში, ორივე მხარეს იმედი აქვს, რომ ჟენევის თათბირის ყველა მონაწილეს შორის უმოკლეს ვადაში მიღწეულ იქნება საერთაშორისო შეთანხმება ლაოსის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ერთიანობისა და ნეიტრალიტეტის პატივისცემისა და დაცვის შესახებ.

პრეზიდენტ სუკარნოსა ახლანდელმა ვიზიტმა ჩინეთში, აღნიშნულია კომუნიკეში, კიდევ უფრო განამტკიცა ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი დაეთანხმა ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს თხოვნას მეგობრული ვიზიტით ეწვიოს ინდონეზიას.

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ეროვნული კულტურული საზოგადოებანი

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურულმა საზოგადოებამ პირველი კოსმონავტი ი. ა. გაგარინი მიიწვია ინდოეთში.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტის ნ. ვ. ციცინის სახელზე გამოგზავნილ წერილში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების პრეზიდენტი ა. ვ. ბალიგა წერს, რომ ინდოელი ხალხი ბედნიერი იქნება მოისმინოს და ნახოს მაიორი გაგარინი. მისი ვიზიტი, ეჭვი არ არის, განამტკიცებს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას. (საქდესი).

ი. ა. გაგარინი მიწვეულია ინდოეთში

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურულმა საზოგადოებამ პირველი კოსმონავტი ი. ა. გაგარინი მიიწვია ინდოეთში.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტის ნ. ვ. ციცინის სახელზე გამოგზავნილ წერილში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების პრეზიდენტი ა. ვ. ბალიგა წერს, რომ ინდოელი ხალხი ბედნიერი იქნება მოისმინოს და ნახოს მაიორი გაგარინი. მისი ვიზიტი, ეჭვი არ არის, განამტკიცებს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას. (საქდესი).

ამერიკული გიბლიოთეკა

არ უნდა დაივიწყონ წარსულის გაკვეთილები

პრაღა, 19 ივნისი. (საქდესი). ბონელმა მილიტარისტებმა და მათმა დასავლეთელმა მოკავშირეებმა არ უნდა დაივიწყონ წარსულის გაკვეთილები — ეს აზრი წითელ ზოლად არის გავლებული ჩეხოსლოვაკიის პრესის ყველა გამონათქვამში, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის მე-20 წლისთავს. მეორე მსოფლიო ომი, წერს „რუდე პრავო“, ისე როდი დამთავრდა, როგორც ფიურერი, მისი მოკავშირეები და დასავლეთის ბევრი პოლიტიკოსი და სამხედრო სტრატეგი ვარაუდობდნენ. საბჭოთა არმია ახალი ტიპის არმიაა. ვერაფერმა ვერ გატეხა საბჭოთა ადამიანის სიმამაცე, მისი გამარჯვების რწმენა.

ჰიტლერელმა გენერლებმა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, რომლებიც დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერს მეთაურობენ და ყველავ ადგენენ აგრესიულ გეგმებს, ბონელმა მინისტრებმა, რომლებიც რევანშისტულ ლოზუნგებს წარმოთქვამენ, არ უნდა დაივიწყონ 1941 წლის ივნისის დღე, როცა მათ დაიწყეს; „ბოლშევიზმისათვის ანგარიშის გასწორება“. შესაძლებელია, მათ ჯერ კიდევ ახსოვთ, რით გათავდა ყოველივე ეს.

გაზეთი „ობრანა ლიდუ“ აღნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიის ახლანდელი არმია ჰიტლერელი გენერლების ხელშია, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ აგრესიულ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ბონელი მილიტარისტები და რევანშისტები „კომუნისტური საფრთხისაგან დაცვის“, „აღმოსავლეთის ძველი გერმანული მიწების განთავისუფლებისა“ და სხვა ძველი ლოზუნგებით ემზადებიან იმისათვის, რომ გაიმეორონ 1941 წლის 22 ივნისის უგნური სისხლიანი ავანტიურა. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ვერაფერი შეცვლის იმ უცილობელ ფაქტს, რომ სოციალიზმისა და მშვიდობის ძალებს ყოველმხრივი უპირატესობა აქვთ იმპერიალიზმისა და ომის ძალებთან შედარებით. განადგურება და დამარცხება ყოველი აგრესორის გარდუვალი ხვედრია.

„პოლიტიკა, რომელიც არცხვენს ინგლისს“

ლონდონი, 19 ივნისი. (საქდესი). აქ ძლიერდება ინგლისის მთავრობის გაკრიტიკება სალაზარის პორტუგალიისათვის მხარდაჭერის გამო.

მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა ჩალის ფასად მიჰყიდოს სალაზარის მთავრობას ორი სამხედრო ხომალდი, 18 ივნისს ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ ინგლისის მთავრობა აპირებს მიჰყიდოს პორტუგალიას იარაღი.

განცხადებაში, რომელიც 18 ივნისს გამოქვეყნდა „დეილი ჰერალდში“, პარლამენტის წევრი ლეიბორისტი რობერტ ედვარდსი წერს, რომ პორტუგალიის სამხედრო მისია გაძლიერებით სწავლობდა ინგლისში იარაღის შესყიდვის შესაძლებლობას.

„მე ვფიქრობ, — აცხადებს ედვარდსი, — რომ ამ იარაღს პორტუგალიელები გამოიყენებენ ანგოლაში თავიანთი ომის დროს, რომელშიც უკვე დახოცილია ათასობით აფრიკელი. საშინელი იქნება იმის შეტყობა, რომ ეს მასობრივი დახოცვა ინგლისის იარაღის საშუალებით ხდება“.

სარედაქციო სტატიაში, რომელიც პროტესტს გამოთქვამს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისმა რო სამხედრო ხომალდი მიჰყიდა პორტუგალიას, „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ პორტუგალიის ფაშისტური სახელმწიფოს შეიარაღებული სომძლავრის ყოველი განმტკიცება დაეხმარება მას კიდევ უფრო საშინელი გახადოს ხოცვა-ყლეტა ანგოლაში. „მაგალითი უნდა ვაიძულოთ უარი თქვას ბარბაროსულ პოლიტიკაზე, რომელიც არცხვენს ინგლისს“, — წერს გაზეთი.

კენედი „უცხოეთისათვის დახმარების შესახებ“

ვაშინგტონი, 17 ივნისი. (საქდესი). ამერიკის მთავრობა ყოველ წელს სულ უფრო დიდ სიძნელეებს აწყდება, როცა კონგრესში ამტკიცებს ყბადაღებულ უცხოეთისათვის დახმარების პროგრამას. ეს არც საკვირველია, რადგან ამ პროგრამამ 9 წლის არსებობის მანძილზე სავსებით გაიტეხა სახელი არამარტო მთელ მსოფლიოში, არამედ თვითონ შეერთებულ შტატებშიც.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კენედიც კი იძულებულია აღიაროს ეს. ამ პროგრამის ბზარდასაჭერად საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის ამოცანა, ჩიოდა იგი, როცა სტაყვა წარმოთქვა ვაშინგტონში საერთაშორისო ეკონომიური და სოციალური განვითარების საკითხთა საერთო ეროვნულ კონფერენციაზე, „სულ უფრო ძნელდება ინოს ყველაზე, რომ ნელდება ენთუზიაზმი უცხო სახელმწიფოებისათვის დახმარების საქმეში“. „ფაქტები, — განაგრძო მან, — ცხადყოფენ, რომ უცხო სახელმწიფოებისათვის დახმარების კრიტიკოსები ძალიან ხშირად მართალი იყვნენ, რომ ჩიოდნენ. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ძალიან ბევრი ფული, რომელსაც უხვად იძლევიან გადასახადის გადაჭიდელები, ამაოდ ან უგუნურად დაიხარჯა“.

მაგრამ შეერთებული შტატების პრეზიდენტს ამიტომ კი არ აუღია სიტყვა, რომ გააშუქოს ამ პროგრამის ნამდვილი არსი. „ჩემი ამოცანა, — გულახდილად განაცხადა მან, — ის არის, რომ გამოვიწვიო ნდობა ამ პროგრამისადმი, ნდობა კონგრესში, ნდობა ამერიკელ ხალხში და ნდობა საზღვარგარეთ“. იმისათვის, რომ „ეს ნდობა გამოიწვიოს“, კენედი ქებადიდებას ასხამს უცხოეთისათვის დახმარების პროგრამას. „რა შეცდომებიც უნდა იყოს ჩადენილი და რა ნაკლოვანებებიც უნდა გამორჩეულიყოს უცხო სახელმწიფოებისათვის დახმარების პროგრამა, — ამტკიცებდა იგი, — უამპროგრაფიდ თავისუფალი სამყაროს ტერიტორია და უშიშროება, უეჭველია, არსებითად შეკირდებოდა“.

ახლა კი, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, — „საფრთხე ჩვენი უშიშროებისათვის გადიდდა, ძალთა სამხედრო თანაფარდობა შეიცვალა, და ამჟამად ყველგან მსოფლიოში საფრთხეს თავისუფლებისათვის წარმოადგენს იმდენად არა „მასირებული ომი, რამდენადაც ფართო მასების სიღარიბე და უმეაყოფილება“.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, — მისი აზრით, განსაკუთრებულ „საფრთხეს“ წარმოადგენს დახმარება, რომელსაც სხვა ქვეყნებს უწევენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები. „ჩვენს ნახევარ სფეროშიც კი, ჩივის კენედი, — კომუნისტური ბლოკის მხრივ დახმარება თვალწინ უდგას ყველას ვინც... მოწყურებულია ბოლო მოუღოს თავის სიღატაკეს“.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, რომელიც ცდილობს თავისი მთავრობის მიერ წარდგენილი დახმარების პროგრამა უფრო მიმზიდველად დახატოს, განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ახლა იწყებენ „ახალი გაბედული საერთო პროგრამის განხორციელებას, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ს�ი და გადამწყვეტი როლი შეასრულოს თავისუფლების პიროვნების გაუმჯობესების საქმეში“, რომ ეს პროგრამას „საფუძვლად უდევს სრულიად ახალი კონფერენციები, მას განაგებს ახალი ორგანო და სათავეში უდგანან ახალი ნიჭიერი ხელმძღვანელები“.

მაგრამ კენედის ფაქტიურად არ წამოუყენებია რაიმე პრაქტიკული წინადადებანი, რომლებისთვისაც უკვე არ გაეწიოს რეკლამა ამერიკის მთავრობის სხვადასხვა წარმომადგენელს.

ტელეგრაფი გვატყობინებს

თათბირი ლაოსის საკითხზე

ჟენევა, 19 ივნისი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი რომანოვსკი იუწყება:

დღეს ლაოსის პრობლემის მოწესრიგების საერთაშორისო თათბირის მონაწილენი შეიკრიბნენ მორიგ სხდომაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გ. მ. პუშკინის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე გამოვიდნენ ბირმისა და კანადის წარმომადგენელნი.

კოკისპირული წვიმა ანკარაში

ანკარა, 19 ივნისი. (საკდესი). სეტყვიანმა კოკისპირულმა წვიმამ, რომელმაც რამდენიმე საათს გასტანა, გუშინ საღამოს თურქეთის დედაქალაქის ქუჩები ბობოჭარ მდინარეებად აქცია. ქალაქის ცალკეული რაიონები დატბორილი აღმოჩნდა და მათი მცხოვრებნი იძულებული გახდნენ დატოვებინათ თავიანთი საცხოვრებლები და თავშესაფარი ეძებნათ ანკარის მაღლობ ნაწილებში. ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა. ბევრ უბანში შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. წვიმას დიდი ზარალი მოჰყვა.

მალის რესპუბლიკა. მალის ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრის ბამაკოს ერთ-ერთ ქუჩაზე.

ფოტო კ. იანუშისა. (ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო)

კენედი „უცხოეთისათვის დახმარების შესახებ“

ბელგრადი, 19 ივნისი. (საქდესი). ბელგრადში ბოლო დროს ინტენსიურად ვითარდებოდა ბრძოლა ბალკანეთის ფედერაციის ფორმირებისა და ბალკანეთის ფედერაციის ფორმირებისა. ეს ბრძოლა ბოლოს ბოლოს

კომუნისტი
სპორტი

პირველი ნაბიჯი

კიდევ ერთი გამარჯვება

გუშინდელი მატჩი რიგაში „დაუგავასთან“ თბილისელთათვის მეორე წრის მეორე შეხვედრა იყო.

მთელ თამაშში იგრძნობოდა დინამოელთა არა მარტო ტერიტორიული, არამედ ტექნიკური უპირატესობა. „დაუგავას“ კარი ხშირ საფრთხეში იყო და ბოლოს იგი „აღებულ იქნა“. ეს მოხდა პირველი ტაიმის მე-20 წუთზე. კარგი კომბინაციის შემდეგ ბარქაიას დარტყმა გოლით დაგვირგვინდა. პირველ წარმატებას მეორე მოჰყვა — კიდევ ერთი გოლი (ბურთი გაიტანა დათუნაშვილმა).

ტაიმი ამოიწურა. 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მასპინძელთა ყოველგვარი ცდა მეორე ნახევარში შეექმნათ კოსტრომამაში უშედეგო აღმოჩნდა. პირიქით 27-ე წუთზე იამანიძის დარტყმით „დაუგავას“ კარში მესამე ბურთი აღმოჩნდა.

3:0 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ, უთუოდ კარგი გამარჯვებაა.

მომდევნო 5 მატჩს ზედიზედ დინამოელები თავიანთ მოედანზე გამართავენ.

სსრ კავშირის პირველობაზე

18 და 19 ივნისს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის.

ლენინგრადში ადგილობრივი „ზენიტისა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ვილნიუსში ბაკოს „ნეფტიანიკისა“ და ვილნიუსის „სპარტაკის“ მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

ლენინგრადში „ადმირალტეეცის“ წინააღმდეგ თამაშობდა დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი. შეხვედრა მოიგო სკა-მ 1:0.

მოსკოვში დედაქალაქის სპარტაკელები შეხვდნენ ტამკენტის „პახტაკორს“. ასპარეზობის შედეგია 1:0 „პახტაკორის“ სასარგებლოდ.

მინსკში კიევის „დინამოსა“ და მინსკის „ბელარუსის“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

სსრ კავშირის ტორპედოს ბურთი ინგლისელ ოსტატებს

ბამარჯვება. ერთი გოლი. ორი ქულა. ასეთია ძირითადი შედეგი მატჩისა, რომელიც კვირას ლუჟნიკებში თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართა.

105.000 მეგნერი, რომელებითაც სავსე იყო ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნები, გახდა მოწმე ფეხბურთელთა ორი კოლექტივის შეუპოვარი, მაგრამ რამდენადმე ცალმხრივი ბრძოლისა, რომელიც მცირე როლს როდი ასრულებდა მსოფლიო ახლანდელი ჩემპიონატის მიმდინარეობაში, რომლის ფინალი ერთი წლის შემდეგ გაიმართება ლათინური ამერიკის შორეულ ქვეყანაში — ჩილეში.

ვიდრე გავუზიარებდე მკითხველებს შთაბეჭდილებებს თამაშისა და ცალკეული ფეხბურთელების გამოსვლების შესახებ, მინდა გავაკეთო პატარა ექსკურსი საბჭოთა კავშირ-თურქეთის საფეხბურთო ურთიერთობის ისტორიაში.

ეს ურთიერთობა დაიწყო 1924 წლის გვიან შემოდგომაზე მოსკოვში, შემდეგ გრძელდებოდა ორივე ქვეყნის სტადიონებზე 1936 წლამდე, ხოლო ოცი წლის შემდეგ განახლებულ იქნა საკლუბო გუნდების დონეზე. საბჭოთა კოლექტივებს შორის, რომლებიც ომისშემდგომ პერიოდში თურქებს შეხვდნენ, თბილისის დინამოელებიც იყვნენ.

თურქეთის ახლანდელ ეროვნულ ნაკრებ გუნდს, რომელიც ძირითადად შედგენილია სტამბოლის ორი ყველაზე პოპულარული კლუბის „გალატა-სარაისა“ და „ფენერბახჩის“ მოთამაშეებისაგან, მოსკოვში ჩამოსვლამდე დებიუტი ჰქონდა ოსლოში ნორვეგიის გუნდთან, სადაც შეხვედრა მოიგო მინიმალური ანგარიშით 1:0.

თურქებს ჩვენ ვიცნობთ როგორც აზარტულ, ამტან, შემტევ ფეხბურთელებს, რომლებსაც გარკვეული ტექნიკური არსენალი აქვთ და იყენებენ ბრაზილიურ სისტემას „1+4+2+4“.

„გალატა-სარაის“ შარშანდელი გამარჯვება მოსკოვში „ტორპედოზე“ 3:2 და სტამბოლში სკა-ზე (დონის როსტოვი) 4:0 დამაფიქრებელი იყო. ტურგაის (№ 1), მეტინის (№ 9), ლეფთერის (№ 11) დიდი გამოცდილება მეტყველებდა ბოსფორის ნაპირებიდან ჩამოსული სტუმრების შეუპოვარი წინააღმდეგობის შესაძლებლობაზე.

მეორე მხრივ ჩვენი „მოდერნიზებული“ და „რეკონსტრუირებული“ ნაკრები, ბრაზილიის „გრემიოს“ კლუბთან უკანასკნელ საკონტროლო მატჩამდე (2:0), არ შეიძლებოდა შეშფოთების მიზეზი არა ყოფილიყო საბჭოთა ფეხბურთის მილიონობით მოყვარულთათვის. მე მხედველობაში მაქვს გუნდის ხუსტი გამოსვლები მოსკოვში „სტონ ვილას“ წინააღმდეგ და ვარშავაში პოლონეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ (ორივე თამაში 0:1).

საქმე ის არის, რომ სიტუაცია იმ ქვეჯგუფში, სადაც თამაშობენ სსრ კავშირი, თურქეთი და ნორვეგია, ჩვენი ფეხბურთელებისაგან მოითხოვდა აუცილებელ გამარჯვებას მოსკოვში, წარმატებითს სტარტს და ორი ქულის „მარაგს“. ფინალში გასვლის ორივე პრეტენდენტი — საბჭოთა ნაკრებიც და თურქეთის გუნდიც სკანდინავიელებისაგან, ჩანს, მაქსიმუმს — ოთხ-ოთხ ქულას მიიღებს. მაშასადამე, თურქებთან ჩვენს ორთაბრძოლაში სამი ქულა ოთხიდან (თუ აღარას ვიტყვით მაქსიმუმზე — ოთხ ქულაზე) უკვე იძლევა ვიზას ჩილეში. ხოლო თუ გავითვალისწინებთ სტამბოლის „ტაქსიმის“ მაგარ ნიადაგს (ზედ ბალახი არ არის), თურქ გულშემატკივართა ფანატიზმსა და თავიანთ სტადიონზე თურქების უძლეველობის შარავანდედს, განსაკუთრებით ნათელი გახდება, თუ რამდენ საჭირო იყო ჩვენი გამარჯვება პირველ მატჩში მოსკოვში.

სსრ კავშირის გუნდის მიზანი ცხადი და არაორაზროვანი იყო — გამარჯვება!

სტუმრებმა კი, რომლებსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი იტალიელი მწვრთნელი სანდრო პუპო (წინათ „იუვენტუსთან“ და „ბარსელონასთან“ რომ მუშაობდა) დაისახეს სხვა ამოცანა: მიეღწიათ ფრეხათვის, ხოლო თუ წაადგებდნენ — მინიმალური ანგარიშით მაინც, რომ სტამბოლში თამაშის წინ თავი უფრო მტკიცედ და თამამად ეგრძნოთ.

...და აი მატჩი დაიწყო. სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ: მასლაჩენკო, მედაკინი, მასლიონკინი, ჩობელი, ვორონინი, მანოშინი. მეტრეველი, ბატანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი და მესხი — რვა მოსკოველი. ორი თბილისელი და ერთი როსტოველი. მკერდზე წითელ-ოლიანი თეთრი ფორმით თამაშობდნენ სტუმრები: ტურგაი, ახმეტი, ოსმანი, ბარი, შერეფი, მუსტაფი, ლეფთერი, ნაჯი, მეტინი, ჯანი, ისმეთი.

მსაჯი ჰილვინიემი (ფინეთი) სიგნალს იძლევა და პონედელნიკს პირველი დარტყმით ბურთი თამაშში შეჰყავს. თურქები იერიშზე მიეშურებიან, მაგრამ ამას მოჰყვა საბჭოთა ფეხბურთელების კონტრიერიში და პირველი დარტყმა, რომელიც... კარს ასცდა. მალე ირკვევა, რომ სტუმრები იყენებენ „ინდონეზიური ბეტონის“ სისტემას, წინ რჩებიან ჯერ მხოლოდ ჯანი და მეტინი, შემდეგ კი მარტო მეტინი.

ინიციატივა მთლიანად გადადის მასპინძლების ხელში. თურქებს კონტრიერიშები მიაქვთ მხოლოდ ეპიზოდურად, ინდივიდუალურად, ამასთან მათი პირველი ცოტად თუ ბევრად „ვარგისი“ დარტყმა მხოლოდ 30-ე წუთზე მოხდა.

საბჭოთა გუნდის იერიშები ძირითადად მარჯვენა ფლანგზე მიმდინარეობს. მესხი გაცილებით უფრო ნაკლებად არის დატვირთული.

დარტყმები „ტურგაის ციხე-სიმაგრეზე“ ერთიმეორეს მოსდევს, მაგრამ მხოლოდ მე-20 წუთზე აღწევს ჩვენი გუნდი წარმატებას! მეტრეველმა ბურთი მიიღო ბუბუკინისაგან და წინ გაიჭრა. იგი წაიკიეს. საჯარიმო დარტყმა. ბასრიმ თავით გამოიტანა ბურთი კარიდან, მაგრამ მას მიუსწრო ვორონინმა და შეუჩერებლივ, შესანიშნავი დარტყმით გაიტანა გოლი — 1:0.

გგონია, რომ აი სადაც არის ჩვენი ბიჭები მეორე ბურთსაც გაიტანენ. მაშინ „მხუბუქი თამაში“ დაიწყება, მაგრამ გადის წუთები, მეოთხედი საათი, იწყება მეორე ტაიმი, მინიმალური ანგარიში კი არ იცვლება.

მართალია ჩვენი დაცვა შეუცდომლად მოქმედებდა, თურქები კი არსებითად არც ცდილობდნენ მძაფრი იერიშის მიტანას, მაგრამ მეორე მხრივ საბჭოთა თავდამსხმელების მრავალ ცდას — გაედიდებინათ ანგარიში წარმატება არ მოჰყოლია: დარტყმები ზუსტი არ იყო, ორ შემთხვევაში კი კარგად ითამაშა ტურგაიმ. ასე დამთავრდა ეს მატჩი.

როგორ თამაშობდა გუნდი? დაცვაში ყველამ „ხუთზე“ ითამაშა. საუხეთით გამამართლა თავისი დანიშნულება ჩობელმა, რომელიც აუღელვებლად და ტაქტიკურად სწორად თამაშობდა. რაც შეეხება თავდამსხმელებს, მხოლოდ ბუბუკინმა გამოიჩინა თავი როგორც პირველხარისხოვანმა მოთამაშემ. დანარჩენები უფრო სუსტად მოქმედებდნენ: განსაკუთრებით წარუმატებლად თამაშობდა ბატანოვი. „გრემიოსთან“ მატჩის გმირი მესხი ამჯერად თვითონ დაიბნა თავის ფინტებში.

სტუმრებზე რაიმეს თქმა ძნელია: ისინი ყველანი ერთი პრინციპით მოქმედებდნენ: როგორმე მოეგერიებინათ და შორს გაეტყორცნათ ბურთი.

ი. ვანიატი.

* * *

სურათზე: შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

მწვრთნელთა თვალით

სსრ კავშირისა და თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩის შემდეგ მწვრთნელებმა გ. კაჩალინმა (სსრ კავშირი) და ს. პუპომ (თურქეთი) ასეთი აზრი გამოთქვეს:

გ. კაჩალინი

მართალია, ჩვენ გავიმარჯვეთ და თითქოს სასაუკეთესო არაფერია, მაგრამ ანგარიში 1:0 არცთუ ისე დიდი წარმატებაა მაშინ, როცა შეგვეძლო უკეთესი შედეგისათვის მიგვეღწია. პირველ რიგში ეს ითქმის თავდამსხმელთა მისამართით.

ს. პუპო

ჩვენი გუნდისათვის მატჩში ფრე საუკეთესო იქნებოდა, მაგრამ ამ შედეგითაც (0:1) კმაყოფილი ვართ, რადგან საბჭოთა ფეხბურთელებს ჩვენს მოედანზეც უნდა შეეხვედით. სსრ კავშირის ნაკრებიდან მომეწონა გარემარბები მეტრეველი და მესხი, აგრეთვე მანოშინი.

ინგლისელები ტაშს უკრავდნენ ნ. მძინარიშვილს

ინგლისის ქალაქი ბეკნემი დიდი ასპარეზობის მოწმე იყო. აქაურ კორტებზე საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში გამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები, რომელთა შორის იყვნენ ევროპისა და მსოფლიოს ტურნირებში გამარჯვებულები, ჩემპიონები, პრიზიორები.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში ტომას ლიუსთან, ვალერია კუზმენკოსა და სხვებთან ერთად გამოდიოდნენ კიეველი გალინა ბაკშეევა და თბილისელი ნუგზარ მძინარიშვილი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ორი სპორტსმენი გამოდიოდა როგორც ნორჩ ჩოგბურთელთა, ისე მოზრდილთა ასპარეზობაში.

თბილისელ ნუგზარ მძინარიშვილის თამაშმა, მისმა ტექნიკამ და ოსტატურმა ბრძოლამ თავიდანვე მიიქცია მაყურებელთა ყურადღება. გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა, ქართველ სპორტსმენს ხშირად ტაშს უკრავდნენ და წარმატებას ულოცავდნენ.

მაგრამ ეს იყო ტურნირის სტარტი. მას ხომ მეტად დაძაბული ბრძოლა მოელოდა და აი განვლო რამდენიმე შეხვედრამ, მძინარიშვილმა მალე ხელი აიღო ასოციატივა. გაეტახა მეტოქის წინააღმდეგობა და გაიმარჯვა ანგარიშით 6:2, 6:0. ქართველმა ჩოგბურთელმა მოხიბლა მაყურებლები, მას გამარჯვებას ულოცავდნენ.

წარმატებით გამოვიდა აგრეთვე კიეველი გალინა ბაკშეევა, რომელმაც გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ახალი რეკორდები

მაღალი სპორტული შედეგებით ხასიათდება მიმდინარე წლის ძლეულიური სეზონი. გასულ კვირადღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც მიმდინარეობდა მოსკოვის თასის გათამაშება, ვალერი ბრუმელის გამოსვლა ტრიუმფით აღინიშნა. იგი გადახტა 2 მეტრსა და 23 სანტიმეტრზე და ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა.

აბავე თასის გათამაშებაში იგორ ტერ-ოვანესიანმა, რომელიც შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდა, გამორბენთ სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 8 მეტრი და 19 სანტიმეტრი. ეს ევროპის ახალი რეკორდია, რომელიც 2 სანტიმეტრით აღემატება წინანდელ რეკორდს.

19 ივნისს თბილისში ჩამოვიდა იუგოსლავიის კინომოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც იმყოფება საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით.

* * *

სურათზე: დელეგაციის შეხვედრა თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხელოვნების ქრონიკა

თეატრების თეატრალური გასტროლები

● ოთხ დღის მანძილზე ქ. ბაქოში „რაინული“ კულტურის სახლში — თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები.

გასტროლების დროს წარმოადგინეს: შ. გოცირიძის დრამა „ბასტრიონის გმირები“ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით, შ. მილორავას „სასიფათო გზაჯვარედინზე“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის კომედია „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ყველა ამ პიესის დადგმა ეკუთვნის თეატრის ახალგაზრდა რეჟისორს ნ. დეისაძეს.

თეატრმა გასტროლები დაამთავრა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გრ. ბერძენიშვილის პიესით „ბული ხელის გულზე“ (დადგმა ნ. გოძიაშვილისა). ხაშურის შემდეგ თეატრი გასტროლებზე გაემგზავრა ბორჯომში, რის შემდეგ მახარაძეს ესტუმრება.

უ. კაპანაძე.

„აფროდიტეს კუნძული“

● ამბროლაურის სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ბერძენი დრამატურგის ა. პარნისის დრამა „აფროდიტეს კუნძული“. პიესა დადგა და მხატვრულ-მუსიკალურად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჯაფარიძემ. სპექტაკლში როლებს ასრულებენ თ. მაცაბერიძე, დ. ფანჯიკიძე, ან. კობახიძე, გ. აბაიშვილი, ჯ. წერეთელი, ჯ. გოგოლაშვილი, ბ. დავითულიანი, ო. დარახველიძე, ი. გეგეაძე.

თეატრი მორიგ პრემიერად ამზადებს ვ. რანგეტის პიესას „ეზაბნეულ შვილს“.

აკ. კერესელიძე.

მზვერავთა გმირობა

გროზნო, 18 ივნისი. (საქდესის კორ. გ. ნასონოვი). თერგის დადა ალპატოვოს სკოლა-ინტერნატის პიონერებმა, რომლებიც ასრულებენ რესპუბლიკური საბავშვო საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დავალებას თემაზე „ლენინის საქმე ყველგან ცოცხლობს“, გამოავლინეს სამშვილო ომში თავიანთი ახალგაზრდა თანასოფლელების ნადია ზნოვიევასა და ლუბა კულიკოვას გმირული დაღუპვის ისტორია.

...1942 წლის ზაფხულში ჰიტლერელთა ურდოები, რომლებიც გროზნოს ნავთობისაკენ მიისწრაფოდნენ, შეჩერებული იქნენ თერგს გაღმა, ბოზდოკთან ახლოს. აქ გაჩაღდა მძაფრი ბრძოლები. ნადია ზნოვიევა და ლუბა კულიკოვა მშობლებთან და დაბა ალპატოვოს სხვა მცხოვრებლებთან ერთად დაიმალნენ ნოღაის ნახევრად უდაბნოს შამბნარებში. მაგრამ ერთხელ ქალიშვილები უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ და არავინ არ იცოდა მაშინ, რა მოუვიდათ მათ.

ბოხდა კი აი რა. ნადია და ლუბა, რომლებმაც არავის არაფერი არ უთხრეს, მივიდნენ ჩვენს სამხედრო ნაწილში, რაიმე თვითონ მიეღოთ მონაწილეობა მშობლიური მიწა-წყლისათვის ბრძოლაში. ჯერ ისინი სანიტრებად ჩარიცხეს. შემდეგ ახალგაზრდა პატრიოტები, რომლებიც მშვენივრად იცნობდნენ ფრონტისპირა ხაზს, მზვერავთა ასეულში გადაიყვანეს. დაკარგული მშობლების ძებნის საბაბით ისინი გაბედულად შედიოდნენ ფაშისტების მიერ დაკავებულ სტანიცებში და თავიანთ დაკვირვებებს ჩვენს სარდლობას აცნობებდნენ. მოქმედებდნენ ფრთხილად და მოხერხებულად. ზოგიერთ ცნობას იმახსოვრებდნენ, სხვებს ოსტატურად მალავდნენ. მაგალითად, ლუბა, რომელიც 14 წლის იყო, ცნობებს ბანდის ქვეშ ინახავდა, რომლითაც იხვევდა თითქოს და მტკივან ფეხს. ახალგაზრდა მზვერავის მონაცემები ეხმარებოდა ჩვენს არტილერიასა და ავიაციას ზუსტად დაერტყათ მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილებისა და ცოცხალი ძალისათვის.

ჰიტლერელებმა ეჭვი მიიტანეს, რომ რაღაც ცუდი რამ ხდებოდა და გაფაციცებით თვალთვალი დაუწყეს მოსახლეობას. როცა ნადია და ლუბა, რომლებიც მორიგ დაზვერვაზე წავიდნენ, შეეცადნენ ეშოვნათ გერმანული საშვები, ისინი შეიპყრეს, მედგრად გადაიტანეს მზვერავობა დაკითხვის ყველა წამება. ფაშისტმა ჯალათებმა რომლებიც ვერაფერს ვერ გაგებნენ, აიძულეს ქალიშვილები ამოეთხარათ თავიანთთვის საფლავები და შემდეგ დახვრიტეს ისინი.

ალპატოვოელმა პიონერებმა, რომლებმაც გამოავლინეს ახალგაზრდა მზვერავთა გმირობა, კიდევ ერთი ფურცელი ჩაწერეს დიდი სამამულო ომის მატიანეში, ომისა, რომლის დაწყების ოცი წლისთავს აღინიშნავენ ამჟამად საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა.

საბითუმო სავაჭრო ბაზრობა თბილისში

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კულტურის სახლში გაიხსნა რესპუბლიკური საბითუმო სავაჭრო ბაზრობა, რომელშიც ყველა სავაჭრო ორგანიზაციის გარდა მონაწილეობას იღებს საქართველოს ბევრი სამრეწველო საწარმო. სულ სარეალიზაციოდ გამოფენილია 60-მდე მილიონი მანეთის საქონელი. ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი შეკერილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სხვადასხვა ქსოვილი, გალანტერეა, პარფიუმერია.

რესპუბლიკის საფეიქრო საწარმოები ბაზრობაზე უჩვენებენ თავიანთი პროდუქციის ასორტიმენტს. ლამაზად გამოიყურებოდა გორის ბამბეულის კომბინატის ქსოვილი. გორელებმა დაიწყეს ეფექტიანი და შედარებით იაფი პროდუქციის გამოშვება. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა სერიული წარმოების ქსოვილებთან ერთად უჩვენებს პერსპექტიულ ქსოვილს. ბევრი იყო აგრეთვე სამეურნეო და საგალანტერეო ნაწარმი, დამზადებული თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

პირველ დღეს დაიდო ასობით სავაჭრო გარიგება. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
კინოფიკაციისა და კინოგაქირავების
მთავარი სამმართველო

ოთხშაბათიდან, 21 ივნისიდან
კინოთეატრების, კულტურის სახლების და კლუბების ეკრანებზე
ნახეთ
ახალი სრულმეტრაჟიანი ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმი

„ჩვენი ნიკიტა სერგის-ძე“

ფილმი მოშზადებულია დოკუმენტური ფილმების
ცენტრალური სტუდიის მიერ.
სურათის ავტორებია — მწერალი **ვ. ზახარჩენკო** და რეჟისორი
ი. სეტკინა.

ჯანელიძის სახელოგისა...

ჟურნალში მოხდა უბედური შემთხვევა — მანქანამ ადამიანი გაიტანა.

რამდენი ასეთი სიგნალი შემოდის საუწრაფო დახმარების პუნქტში.

და, აი მიჰქრის წითელჯვრიანი მანქანა — ჩქარა, ჩქარა, ამაზე დამოკიდებულია ადამიანის სიცოცხლე.

აი დაშავებული მიიყვანეს კლინიკაში, დაიწვინეს საოპერაციო მაგიდაზე და ქირურგი, რომელსაც ნიღაბი და ხელთათმანები უკეთია, შეუდგა ოპერაციას. მაგრამ ჭრილობა მეტად მძიმე აღმოჩნდა, დაკარგულია ძალიან ბევრი სისხლი, შეეძლა ადამიანს ბედნიერ ყოფილიყო?

შეიძლება თუ არა ამ შანსების, ამ რამდენიმე წუთის უკეთ გამოყენება? ამას ჩაუფიქრდნენ ლენინგრადის ი. ი. ჯანელიძის სახელობის სასწრაფო დახმარების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექიმები. მათ გადაწყვიტეს შეეცვალად მუშაობის თვით პრინციპი. ძმიმედ დაშავებული კი არ მიჰყავთ საოპერაციოში, არამედ თვით საოპერაციო მიაქვთ დაზარმარებლად. ეს შესაძლებელი გახდა ავტომანქანის გადაკეთებით მოძრავ ქირურგიულ კაბინეტად. მასში ყველაფერია, რაც საჭიროა, რომ ძალიან ძმიმედ დაშავებული ადამიანიც კი არ დაიღუპოს — ხელოვნური სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის აპარატები, ნარკოზი, საჭირო ქირურგიული ინსტრუმენტები, მოწყობილობა სისხლის გადასასხმელად. და ეს რამდენიმე წუთი, რომლებიც წინათ საბედისწერო იყო, ახლა გამოყენებულია გადასარჩენად. ამის შედეგია — ბევრი დაშავებულის გადარჩენა. ცდა იმდენად კარგი აღმოჩნდა, რომ ლენინგრადში ახლა იქმნება კიდევ რამდენიმე მოძრავი ქირურგიული კაბინეტი, ხოლო მალე ისინი სხვა ქალაქებშიც გამოჩნდება.

ნოვატორობა — აი რა ახასიათებს ჯანელიძის სახელობის ინსტიტუტის კოლექტივის მუშაობას. მისმა შესანიშნავმა ფუძემდებელმა. თანამედროეობის გამოჩენილმა ქირურგმა და მეცნიერმა ი. ი. ჯანელიძემ ბევრი წელი მოანდომა ენერგიულ ბრძოლას სიკვდილთან. დიდ სიძნელეს წარმოადგენს მუცლის ღრუს მწვავე დაავადებათა მკურნალობა, და ჯანელიძემ, როგორც ნამდვილმა მკვლევარმა, რომელსაც არ ეშინია სიძნელეებისა, აირჩია ნეფიციანის ეს ნაკლებად შესწავლილი და მეტად რთული დარგი. რის გაკეთება შეიძლება კიდევ ამ დარგში? ჯანელიძემ შეიმუშავა ქირურგიული ჩარევის საკუთარი მეთოდები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

ყოველივე ამის შესახებ დღეს გვიამბობენ ჯანელიძის უახლოესი მოწაფეები და ნაცი საქმის განმარძობნი — დოცენტი ლ. ი. გარვინი, ქირურგი მ. გ. კაბანჩიკი, ვ. ა. მარცინკოვსკაია, რეზიდენტი ლ. ი. ჩჩელინა. როცა ჯანელიძე ხელს ჰკიდებდა ამ პრობლემას, — ამბობენ ისინი, — მწვავე აპენდიციტით გამოწვეული სიკვდილიანობა სამ პროცენტს აღწევდა. ახლა იგი შემცირებულია 0,1 პროცენტამდე, ე. ი. 30-ჯერ. ეს ციფრები ამას წინათ გამოქვეყნდა ი. ი. ჯანელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მორიგ საქალაქო კონფერენციაზე ლენინგრადში.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს 40-ზე მეტი მოხსენება ქირურგიის წარმატებებზე და ჯანელიძის მიერ წამოყენებული იდეების შემდგომ დამუშავებაზე. მომხსენებელთა შორის იყვნენ ხარკოვის, პერმის, ალმა-ატის, ნოვოსიბირსკის, მოსკოვის, თბილისის წარმომადგენლები. მთელ ჩვენს ქვეყანაში იცნობენ ქართველი მეცნიერის, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის დაუღალავი მებრძოლის ჯანელიძის სახელს.

მაგრამ ჯანელიძის ნამდვილი სკოლა პირველ რიგში შეიძლება ვუწოდოთ მის პრაქტიკას — ლენინგრადის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტს. აქ ნახავთ ჯანელიძის დიდ სკულპტურულ პორტრეტს, ხელუხლებლად შენახულია მისი კაბინეტი, საოპერაციო ოთახი, სადაც იესტინე ივლიანეს-ძეს გაუკეთებია მრავალი შესანიშნავი რთული ოპერაცია, მის მიერ დაფუძნებული პათოლოგიურ-ანატომიური მუზეუმი. მაგრამ ყველაზე მთავარია ის, რომ აქ თითქოს ცოცხლობს მისი შემოქმედებითი სული. მაღალი მომთხოვნელობა, შეჩერთება, შეუპოვრობა, ცოდნა და კვლავ ცოდნა — აი ის, რაც მას დიდად ახასიათებდა. და მისი მრავალრიცხოვანი მიმდევრები ცდილობენ თვითონაც იყონ ასეთები.

უკანასკნელ წლებში ინსტიტუტმა ახალ წარმატებებს მიაღწია ნაწლავების მწვავე გაუვალობის მკურნალობაში. აღსანიშნავია, რომ ამ საშიში დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა ახლა საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ლენინგრადში და სხვა ქალაქებში, ცხოვრობს და მუშაობს ბევრი ექიმი, რომლებსაც მოუსმენია ჯანელიძის მიერ ლენინგრადის პავლოვის სახელობის I სამედიცინო ინსტიტუტში წაკითხული საინტერესო ლექციები, დასწრებიან ნის მიერ გაკეთებულ ოპერაციებს, ისინი, ვისაც იგი აძლევდა თავის კეთილმოსურნე შენიშვნებსა და რჩევებს. დიახ, ჯანელიძის სკოლა ცოცხლობს და ვითარდება!

— რა მოხდა ინსტიტუტში ახალი უკანასკნელ ხანებში? — შეეკითხეთ დოცენტ გარვინს.

მან გადმოიღო ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნი „შოკი და თერმინალური მდგომარეობანი“. თავფურცელზე მოთავსებულია ი. ი. ჯანელიძის კარგად ცნობილი დიდი პორტრეტი. წიგნში გამოქვეყნებულია ათობით სტატია სასწრაფო დახმარების ორგანიზაციის და მეთოდიკის საკითხებზე, ახალი ნამუშევრები გადაუდებელი ქირურგიის დარგში.

— ეს ჩვენი საერთო წვლილია ჯანელიძის მოძღვრებაში, — ამბობს გარვინი.

გვწამს — გაივლის წლები, ინსტიტუტის თანამშრომლებიც სხვები იქნებიან, მაგრამ მუდამ იარსებებს შესანიშნავი ექიმისა და ჰუმანისტის ი. ჯანელიძის სკოლა.

ო. კარიშევი.

სურათზე: ი. ი. ჯანელიძის პორტრეტი, რომელიც დაბეჭდილია წიგნის „შოკი და თერმინალური მდგომარეობანი“ თავფურცელზე.

უცხოეთის სტადიონებზე

● ჰელსინკში გაიმართა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ბულგარეთისა და ფინეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ბულგარელებმა ანგარიშით 2:0.

● დამთავრდა პარიზის საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „სანტოსი“ (ბრაზილია) და „ბენფიკი“ (პორტუგალია). გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა 6:3. განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდნენ პელე, პეპე, კუტინიო. „სანტოსს“ გადაეცა „რესინგის“ გარდამავალი პრიზი.

● ბრაზილიის გუნდები ტურნეს მართავენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. კიროში ბრაზილიის „ბოტაფოგომ“ დაამარცხა ადგილობრივი „ზამალეკი“ 2:1, ხოლო ბრაზილიის მეორე გუნდმა „ფლუმნენსემ“ მოუგო „ნიცას“ 7:2.

● საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში იტალიისა და არგენტინის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც ფლორენციაში შედგა, დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

● მატჩი ბუქარესტში ადგილობრივ კკა-სა და ბუდაპეშტის „ჰონვედს“ შორის დამთავრდა კკა-ს გამარჯვებით 4:0.

სასამართლოს დარგაზიდან

თავაწყვეტილი

არ იქნა და ვერ ისწავლა ჭკუა სულიკო ვლადიმერის-ძე მოდებაძემ. მუქთახორობაში, ლოთობაში ატარებდა დღეებს. ერთხელ მოქალაქეთა ძარცვისათვის პატიმრობაშიც იმყოფებოდა.

ბოლოს უქნარამ, გარეწარმა ს. მოდებაძემ მთლად აიწყვიტა თავი. მან ღამით, წინასწარი განზრახვით, ქიათურის რაიონის სოფელ კაცხში დანით ვერაგულად მოკლა მოქალაქე ო. მახარაშვილი. ამ ამბავმა ჭიათურელი მშრომელნი აღაშფოთა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მკვლელ ს. ვ. მოდებაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა.

განაჩენი ს. ვ. მოდებაძის მიმართ სისრულეშია მოყვანილი.

კ. კვარაციხელი.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—8-68-08, პასუხისმგებელი მდივნის—8-72-80, სამდივნოსი — 8-81-66, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—8-67-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—8-81-84, ხოფლის მეურნეობის—8-32-46 საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—8-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის—8-16-90, წერილების—8-73-24, საილუსტრაციო—8-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-61-48.

УЭ 01044

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

4

ხელოვნების ქრონიკა

თეატრების თეატრალური გასტროლები

● ოთხ დღის მანძილზე ბაქოში „რაინული“ კულტურის სახლში — თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის ს